ხელშეკრულება #III-1/120

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი **29 ნოემბერი 2019წ.**

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი, (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის, აღმასრულებელი დირექტორის ირაკლი ღვალაძის სახით და მეორეს მხრივ, სს „გუდვილი“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გიორგი ხაბაშვილის მინდობილი პირის (მინდობილობა #8/244, 21.02.2019) ნანა ახალკაცის (პირადი ნომერი: 43001008767) სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. სსიპ საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და ექსეტერის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტს შორის 2019 წლის 4 აპრილს გაფორმებული #1839 (ფინანსთა სამინისტროში რეგისტრაციის ნომერი) საგრანტო ხელშეკრულების „საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საქმიანობაში მონაწილეობის გაფართოება და ხელმისაწვდომობის ზრდა“ ფარგლებში, CPV 15800000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტის შეძენა (საფუძველი: საგანმანათლებლო დეპარტამენტის უფროსის დარეჯან ძოწენიძის 2019 წლის 27 ნოემბრის #5834 მოხსენებითი ბარათი).

2. ხელშეკრულების ობიექტი და ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს, საგრანტო ხელშეკრულების „საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საქმიანობაში მონაწილეობის გაფართოება და ხელმისაწვდომობის ზრდა“ ფარგლებში, მასწავლებელთა ტრეინინგის ორგანიზების უზრუნველსაყოფად, შემდეგი საქონლის შეძენა:

(ლარი)

#	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (დღგ-ს ჩათვლით)	სულ თანხა (დღგ-ს ჩათვლით)
1	სამარხვო ფხვიერი ნამცხვარი ქოქოსით (2021124)	კგ.	1,7720	11,95	21,18
2	შაქარი SUPREMO 900 გრ. (4860101960575)	ცალი	2	2,15	4,30
3	გრინფილდი-მწვანე ჩაი მელისა (4605246004353)	ცალი	1	4,99	4,99
4	გრინფილდი ჩაი ჟოლოს არომატით (4605246004339)	ცალი	1	4,99	4,99
5	პიტნის ჩაი G&G(4311501608517)	ცალი	1	4.95	4.95
6	ნესკაფე ხსნადი ყავა კლასიკი (4600680008158)	ცალი	2	9,35	18,70
7	G&G-ნამცხვარი კარაქით (4311596417056)	ცალი	3	9,35	28,05
8	**სულ სახელშეკრულებო ღირებულება:**				87,16

2.2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მთლიანი ღირებულება შეადგენს 87,16 (ოთხმოცდაშვიდი ლარი და 16 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3. საქონლის შესყიდვის ვადა და ადგილი

3.1. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა: 2019 წლის 10 დეკემბერი.

3.2. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ადგილი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 2/4.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემოწმებით თუ მოწოდებული საქონელი აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნას, მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც კვალიფიციური ელექტრონული შტამპის ან კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებით უნდა დაამოწმონ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილმა პირებმა.

4.2. საქონელი ჩაითვლება სრულად შესყიდულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. საქონლის შესყიდვის ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება ფაქტიურად მოწოდებულ საქონელზე წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების, საგადასახადო ანგარიშფაქტურისა და ორმხრივად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

5.2. ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში, მიმწოდებლის რეკვიზიტებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6. მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

6.1.2. მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. გადაიხადოს მოწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით;

6.2.2. მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე მოწოდებული საქონლის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებელს და მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრა;

6.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები.

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

6.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. მოაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;

6.4.2. მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე მოწოდებული საქონლის ნაკლოვანების შემთხვევაში თავისი ხარჯით უზრუნველყოს აღნიშნული ნაკლის გამოსწორება მხოლოდ მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე;

6.4.3. წინასწარ აცნობოს მოსალოდნელი შეფერხების შესახებ;

6.4.4. ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის, მხარეებს უფლება აქვთ დააკისრონ დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.01% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებთ მხარეებს შეუსრულებელი ვალდებულებებისაგან.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

8.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და არსებული სტანდარტების მოთხოვნებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად, ან მის გარეშე ადგენს აქტს შესაბამისი წესის შესაბამისად.

8.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს, დარეჯან ძოწენიძე - საგანმანათლებლო დეპარტამენტის უფროსი.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. არავითარი გადახდა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.4. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 10 იანვრის ჩათვლით.

11.2. მიმწოდებელს უფლება აქვს ვადაზე ადრე მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი.

11.3. ხელშეკრულებით ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და მოწოდებული საქონლის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ხელშეკრულების ირგვლივ წარმოქმნილი ნებისმიერი უთანხმოება და დავა.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, მხარეები დავას განსახილველად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. დასკვნითი დებულებანი

13.1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში მხარეების მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

13.3. მხარეებს არ აქვთ უფლება გადასცენ მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.4. მესამე პირთან ურთიერთობაზე მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯითა და რისკით.

13.5. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“
საიდენტ. კოდი: 204468664
იურიდ. მის: თბილისი, რუსთაველის გამზ.#3.
ტელ. ნომერი: 298 21 35
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი - TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 708467499

ირაკლი ღვალაძე
გენერალური დირექტორის მოადგილე
აღმასრულებელი დირექტორი

LEPL Georgian National Museum
Digitally signed by LEPL Georgian National Museum
Date: 2019.11.29 11:04:38 +04'00'

„მიმწოდებელი“

სს „გუდვილი“
იურიდ/მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.#9.
ფაქტ/მის: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, ფარნავაზ მეფის #1.
ტელ: 240 00 02, 577 79 46 47
საიდენტ. კოდი: 206343991
სს „თიბისი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ა/ა GE61TB 3615 3360 2010 0004

ნანა ახალკაცი
გენერალური დირექტორის
მინდობილი პირი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. თბილისი **29 ნოემბერი 2019წ.**

ქვემოთ ხელის მომწერნი, ხელშეკრულების #III-1/120 29.11.2019წ. გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი და ხელშეკრულების ინსპექტირების წევრები ვადასტურებთ, რომ აღნიშნული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

გენერალური დირექტორის მოადგილე,
აღმასრულებელი დირექტორი
ირაკლი ღვალაძე

LEPL Georgian National Museum
Digitally signed by LEPL Georgian National Museum
Date: 2019.11.29 11:04:58 +04'00'

საგანმანათლებლო დეპარტამენტის უფროსი
დარეჯან ძოწენიძე